




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 38

2011 წლის 5 აპრილი

ქალაქი ხაშური



სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 2011 წლის 4 აპრილს №348 წერილით გამოგზავნილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 24 მარტის №185 ბრძანების, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის 2011 წლის 4 აპრილის №93 წერილის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №54 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

